კოპტური ეკლესიის სამონაზვნო დასის დელეგაციამ მოსკოვის მართლმადიდებლური სიწმინდეები მოინახულა

2021 წლის 24-26 აგვისტოს კოპტური ეკლესიის მონასტრების იღუმენებისა და წევრების დელეგაცია, რომელიც ამ დღეებში მოსკოვში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს მოწვევით იმყოფება, მოსკოვის ტაძრებსა და მონასტრებს ეწვია.

პროგრამა ნოვოსპასკის მონასტერში მისვლით დაიწყო. დელეგაცია სიხარულით იქნა მიღებული სავანის წინამძღვრის მოადგილის – მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს ქალაქ მოსკოვის პირველი ვიკარიუსის, ვოსკრესენსკის მიტროპოლიტის დიონისეს მიერ. მეუფემ თავად ჩაატარა ეგვიპტელი სტუმრებისთვის მონასტრის ტერიტორიაზე ექსკურსია, ისაუბრა მის ისტორიულ ღირსშესანიშაობებზე, მათ შორის ბოირ რომანოვების განსასვენებელზე. მომლოცველებმა თაყვანი სცეს სავანის მთავარ სიწმინდეებს – ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ „ყოველთა დედოფლის“ (პანტანასას) ხატს, მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს და ღვთისმშობლის ხატს „ოდიგიტრია“, ასევე ლოცვით მიაგეს პატივი სავანეში განსვენებულთ, მის ყოფილ წინამძღვარს მთავარეპისკოპოსს ალექსის (ფროლოვი), ცნობილ წევრებს და მონასტერში 1920-1930

წწ.-ში უღმერთოთა დევნის დროს მოწამეობრივად აღსრულებულთ.

დელეგაციის მისვლის საპატივცემულოდ მიტროპოლიტმა დიონისემ შეხვედრა მოაწყო. მწყემსმთავარი სტუმრებს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სახელით მიესალმა. „ჩვენ ფრიად მოხარულნი ვართ მივიღოთ ჩვენი ქრისტიანი ძმები ეგვიპტიდან – კურთხეული მიწიდან, მონასტრების დიდებული დამფუძნებლების წარმომშობი (მშობლიური) მიწიდან. ეგვიპტური პატერიკის მამათა მემკვიდრეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი სულიერი ტრადიციისთვის. კოპტური ეკლესია, ისევე როგორც რუსული ეკლესია – ეს არის აგრეთვე მოწამეთა და ქრისტიანული რწმენის აღმსარებელთა ეკლესია, მათ შორის XX და XXI სს.-ში. მოწამეთა დაღვრილი სისხლი – დღეს ჩვენი სახარებისეული მოწმობის ძალაა“, – აღნიშნა, მიტროპოლიტმა დიონისემ.

დელეგაციის მეთაურმა ალ-მუჰრახის ეპისკოპოსმა ვუკოლემ თბილი მადლობა მოახსენა მეუფე დიონისეს მასპინძლობისთვის და სთხოვა, სალამი და კეთილი სურვილები გადაეცა კოპტური ეკლესიის მეთაურის უწმინდესი პატრიარქის თავადროს II-გან მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილესთვის. „მისი უწმინდესობა პატრიარქი თავადროს II განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მთელს მსოფლიოში ქრისტიანულ ეკლესიებთან ურთიერთობის განვითარებას. თუმცა, დღეს ჩვენთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს დიალოგს უდიდეს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან – წმინდა რუსეთის სარწმუნეობისა და სულიერების დამცველთან. რუსული სულიერი ტრადიცია ძალიან ახლოსაა ჩვენს კოპტურ ტრადიციასთან, და ამ სიახლოვეს ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ, ის აღემატება ჩვენ შორის განმყოფ საზღვრებს“, – აღნიშნა ეპისკოპოსმა ვუკოლემ.

საჩუქრის სახით ეგვიპტის დელეგაციამ მიტროპოლიტ დიონისეს წმინდა ოჯახის ხატი მიართვა, რომელმაც, როგორც ცნობილია, ჰეროდესგან დევნილმა, ეგვიპტეში დაახლოებით სამი წელი გაატარა. ამათგან დაახლოებით ექვსი თვე, ღვთაებრივმა ყრმამ, უწმინდესმა ქალწულმა და მართალმა იოსებმა გაატარეს ალ-მუჰრახის გამოქვაბულში, სადაც შემდგომში დაფუძნდა სავანე, რომლის წინამძღვარიც არის ეპისკოპოსი ვუკოლე. ნოვოსპასკის მონასტრის საძმოს, ასევე საჩუქრად გადაეცათ ღირსი მაკარი დიდისა და სხვა ეგვიპტელი წმინდანების ხატები.

სტუმრები ეწვივნენ პოკროვის (ღვთისმშობლის საფარველის სახელობის) სტავროპიგიალურ დედათა მონასტერს, რომელიც გახდა მათი ბინადრობის ადგილი მოსკოვში ყოფნის პერიოდში. დელეგაციამ თაყვანი სცა ნეტარი მატრონა მოსკოველის წმინდა ნაწილებს – ბოლო წლებში ცნობილს და განდიდებულს უძველეს აღმოსავლურ ეკლესიებში; გაეცნენ, ასევე, გოგონების თავშესაფრის საქმიანობასა და მონასტრის მეურნეობას. ეპისკოპოსი ვუკოლე და მისი თანმხლები პირები სიხარულით მიიღეს მონასტრის წინამძღვრის იღუმენია თეოფანიამ (მისკინა) და მონასტრის დებმა.

ამავე დღეს კოპტური დელეგაცია მოსკოვის სრეტენსის მონასტერს ეწვია. მონასტრის ადგილმონაცვლემ მღვდელმონაზონმა იოანემ (ლუდიშევი) სტუმრებს მონასტრის ისტორიასა და თანამედროვე ცხოვრებაზე უამბო, ასევე, აჩვენა იქ დავანებული დიდებული სიწმინდეები, რომელთა შორისაა – ღირსი მარიამ ეგვიპტელის წმინდა ნაწილები. ძმური საუბარი გაგრძელდა საერთო ტრაპეზზე, რომლის შემდეგაც ეგვიპტურმა დელეგაციამ სრეტენის სემინარიის შენობა დაათვალიერა.

25 აგვისტოს ეგვიპტიდან ჩასული სტუმრები მართასა და მარიამის სახელობის მოწყალების სავანეში იმყოფებოდნენ, სადაც თბილად იქნენ მიღებულნი იღუმენია ელისაბედისა (პოზდნიაკოვა) და დების მიერ, თაყვანი სცეს მონასტრის ტაძარში დაბრძანებულ სიწმინდეებს და გაეცნენ სავანის სოციალურ პროექტებს.

სტუმრები ასევე ეწვივნენ მოსკოვის კრემლის ტაძარს, წითელ მოედანს, ქრისტე მაცხოვრის სახელობის საკათედრო ტაძარს, ვისოკო-პეტროვსკის მონასტერს; შეხვდნენ მოსკოვის უნივერსიტეტებში მოსწავლე სტუდენტების ჯგუფს – ეგვიპტის კოპტური თემის წარმომადგენლებს.

იმავე დღის საღამოს დელეგაცია დონის მონასტერში იმყოფებოდა, სადაც პატრიარქ თავადროს II-ის წარმომადგენლები მიიღო მონასტრის დილმონაცვლემ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მონასტრებისა და მონაზვნების სინოდალური განყოფილების თავმჯდომარემ, კაშირის მიტროპოლიტმა თეოგნოსტიმ. მეუფე გულითადად მიესალმა ეგვიპტის დელეგაციას, აღნიშნა მსგავსი ვიზიტების გაგრძელების მნიშვნელობა უფრო დეტალური გაცნობისთვის ორმხრივი ისტორიისა, თანამედროვე ცხოვრებისა და კოპტური და რუსული მონასტრული მდიდარი სულიერი გამოცდილების ტრადიციებისა.

ეგვიპტელი სტუმრები ეწვივნენ მონასტრის სამარხს (ნეკროპოლისს) და დიდ ტაძარს, სადაც თაყვანი სცეს ღვთისმშობლის „დონის“ სახელობის ხატს და სრულიად რუსეთის პატრიარქის, წმინდა ტიხონის წმინდა ნაწილებს.

26 აგვისტოს დილას, დელეგაცია ეწვია წმინდა დანიელის სახელობის (სვიატო-დანილოვის) მონასტერს და თაყვანის სცეს იქ დავანებულ სიწმინდეებს. კოპტური ეკლესიის წარმომადგენლები თბილად მიიღო მონასტრის ადგიმონაცვლემ სოლნეჩნოგორსკის ეპისკოპოსმა ალექსიმ, რომელთანაც სტუმრების ხანგრძლივი შეხვედრა შედგა.

ამის შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ ტვერის სამიტროპოლიტოში, სადაც გაგრძელდება მათი ვიზიტი რუსეთში. ისინი ასევე ეწვევიან წმინდა ადგილებს ნოვგოროდისა და სანკტ-პეტერბურგის სამიტროპოლიტოებში და ჩრდილოეთ რუსეთის სავანეებში.

ჩამოსული დელეგაციის შემადგენლობაში არიან: დელეგაციის მეთაური ალ-მუჰრახის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის (ასიუტის პროვინცია) წინამძღვარი ეპისკოპოსი ვუკოლე; ჰადაბის წმინდა თომასა და ბიქტორის სახელობის მონასტრის (სამხრეთ სინაის პროვინცია) წინამძღვარი ეპისკოპოსი სევერი; ახმიმის (სუჰაგის პროვინცია) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის წინამძღვარი ეპისკოპოსი მათე; ნიტრიის უდაბნოს ღირსი პაისი დიდის სახელობის მონასტრის წინამძღვარი ეპისკოპოსი აღათი; საპატრიარქოს პირველი ვიკარიუსი ქაიროში ეპისკოპოსი მიქაელი; პატრიარქის მდივანი, ნიტრიის უდაბნოს ღირსი პაისი დიდის საახელობის მონასტრის წევრი, მღვდელმონაზონი კირილე ანბა ბიშოი; ალ-მუჰრახის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის

მონასტრის (ასიუტის პროვინცია) წევრი, მღვდელმონაზონი თავადროს ელ მოჰარაკი; ჰადაბის წმინდა თომასა და ბიქტორის სახელობის მონასტრის (სამხრეთ სინაის პროვინცია) წევრი, მონაზონი იუსეფ ელ-ახმიმი; ნიტრიის უდაბნოს ღირსი მაკარი დიდის სახელობის მონასტრის წევრები – მონაზონი პეტრე ელ-მაკარი, მონაზონი ზევსი ელ-მაკარი, მონაზონი მერკური ელ-მაკარი და მონაზონი მარკოზ ელ-მაკარი; კოპტური ეკლესიის საპატრიარქოს სპეციალური წარმომადგენელი დოქტორი ანტონ მილადი.

მოსკოვში ყოფნის დროს კოპტური ეკლესიის სტუმრებს მეგზურობას უწევდნენ სსკგ-ს ქრისტიანთაშორისი ურთიერთობების მდივანი მღვდელმონაზონი სტეფანე (იგუმნოვი); რუსეთში კოპტური ეკლესიის წარმომადგენელი მღვდელმონაზონი დაურ ელ-ანტონი; სსკგ-ს თანამშრომლები: მღვდელმონაზონი პეტრე (ახმატხანოვი), ს. გ. ალფეროვი და დ. ე. არაქელიანი.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87918/